პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



სიმშვიდე ამ ცხოვრებაში

ყველას, ვინც მოევლინა ამ მიწიერ ცხოვრებაში, მხსნელმა უთხრა: „სოფელში გასაჭირი გექნებათ“ (იოანე 16:33). მან, თავისი მიწიერი მსახურებისას, ეს შესანიშნავი დაპირება მისცა თავის მოწაფეებს: „მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. სოფელი რომ იძლევა, ისე კი არ გაძლევთ.“ (იოანე 14:27). რა სანუგეშოა იცოდე, რომ ეს პირადი სიმშვიდის დაპირება დღესაც გრძელდება ყველა მისი მოწაფისთვის.

ზოგიერთი ჩვენგანი ცხოვრობს მშვენიერ და მშვიდ გარემოში, თუმცა მაინც განვიცდით შინაგან აურზაურს. სხვები გრძნობენ სიმშვიდეს და სრულყოფილ უშფოთველობას დიდი პირადი დანაკარგის, ტრაგედიისა ან განსაცდელის დროს.

შესაძლოა გინახავთ ეს სიმშვიდის საოცრება იესო ქრისტეს მოწაფის სახეზე ან გსმენიათ იგი მის სიტყვებში. მე ეს მრავალჯერ მინახავს. ზოგჯერ ეს საავადმყოფოს პალატაში ყოფილა, სადაც ოჯახის წევრები შეიკრიბნენ სიკვდილის პირას მყოფი ღვთის მსახურის ირგვლივ.

მე მახსოვს საავადმყოფოში ვესტუმრე ქალბატონს, მისი სიმსივნისგან გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე. თან მახლდა ჩემი ორი ქალიშვილი, რადგან ეს საყვარელი ქალბატონი როდესღაც მათი დაწყებითი საზოგადოების მასწავლებელი იყო.

მისი ოჯახის წევრები მის ირგვილ შეგროვდნენ, უნდოდათ რა დედამიწაზე მისი ბოლო წუთების დროს მასთან ერთად ყოფილიყვნენ. მე გავოცდი, როცა იგი საწოლზე წამოჯდა. მან ჩემს ქალიშვილებს მიმართა და ორივენი, რიგრიგობით, თავისი ოჯახის წევრებს წარუდგინა. იგი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ჩემი ქალიშვილები დედოფლის კარზე მისული სამეფო ოჯახის წევრები იყვნენ. მან ყოველი იქ მყოფი ადამიანის შესახებ ისეთი რამ თქვა, რაც მას ახასიათებდა, როგორც მხსნელის მოწაფეს. მე ახლაც მახსოვს მისი ხმის ძალა, სიყვარული და სირბილე. და მე მახსოვს, გამიკვირდა, რომ მან ხალისიანად გაიღიმა, თუმცა იცოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო.

მან მიიღო სამღვდელოების დალოცვა სიმშვიდის მოსაპოვებლად და ყველას მოგვცა ცოცხალი დამოწმება იმისა, რომ უფლის მშვიდობის დაპირება ჭეშმარიტებაა: „ეს იმიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ ჩემში. სოფელში გასაჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მე ვძლიე სოფელს“ (იოანე 16:33).

მან მიიღო უფლის მოწვევა, ჩვენ ყველას შეგვიძლია მივიღოთ იგი, მიუხედავად ჩვენი განსაცდელებისა და გასაჭირისა:

„მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ.

„იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ სულის სიმშვიდეს“. (მათე 11:28–29).

მხოლოდ მაშინ, როცა მხსნელს მივყვებით, ჩვენ შევძლებთ ვპოვოთ სიმშვიდე და უშფოთველობა განსაცდელში, რომელიც არავის არ აგვცდება.

ზიარების ლოცვები გვეხმარება გავიგოთ, როგორ ვიპოვოთ სიმშვიდე ცხოვრებისეული მწუხარების ჟამს. ზიარების მიღებისას ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ, ვიყოთ ჩვენი აღთქმების ერთგულნი და მივყვეთ უფალს.

ჩვენ ყველანი ვპირდებით, რომ გვემახსოვრება მხსნელი. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ არჩევანი გახსოვდეთ უფალი ისეთი ხერხით, რომელიც საუკეთესოდ მიმართავს მისკენ თქვენს გულს. ზოგჯერ ჩემთვის ეს ხერხია - გონებაში წარმოვიდგინო იგი გეთსიმანიის ბაღში მუხლმოდრეკილი ან როცა იგი მიმართავს ლაზარეს, გამოვიდეს სამარხიდან. ამ დროს ვგრძნობ სიახლოვეს უფალთან და მადლიერებას, რომელსაც ჩემს გულში სიმშვიდე შემოაქვს.

თქვენც ასევე პირდებით, რომ დაიცავთ მის მცნებებს. თქვენ პირდებით, რომ აიღებთ საკუთარ თავზე მის სახელს და იქნებით მისი მოწმენი. იგი გპირდებათ, რომ თუ თქვენ დაიცავთ მის აღთქმებს, სულიწმინდა თქვენთან იქნება. (იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:77, 79).

ამას სიმშვიდე მოაქვს მინიმუმ ორი ხერხით. სულიწმინდა გვწმენდს ცოდვისგან იესო ქრისტეს გამოსყიდვის გამო. და სულიწმინდას შეუძლია გვიბოძოს სიმშვიდე, რომელიც მოდის ღვთის მიღებისა და მარადიული ცხოვრების იმედისგან.

პავლე მოციქული საუბრობდა ამ შესანიშნავი დალოცვის შესახებ: „ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება“ (გალატელთა 5:22).

როცა ზეციურმა მაცნეებმა გამოაცხადეს მხსნელის დაბადება, მათ განაცხადეს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთს. მშვიდობა ქვეყანად და კაცთა შორის *სათნოება*“(ლუკა 2:14;). მე, როგორც იესო ქრისტეს მოწმე, ვმოწმობ, რომ მამასა და მის საყვარელ ძეს შეუძლიათ გამოგზავნონ სულიწმინდა , რათა ვპოვოთ სიმშვიდე ამ ცხოვრებაში, რა განსაცდელის წინაშეც არ უნდა აღმოვჩნდეთ ჩვენ და საყვარელი ადამიანები.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, რომ ზიარების ლოცვები შეიძლება დაგვეხმაროს შევიტყოთ, როგორ ვიპოვოთ სიმშვიდე განსაცდელის ჟამს. ისინი გვახსენებს, რომ როცა ვიცავთ აღთქმებს, ჩვენ გვაქვს ღვთის დაპირება, რომ სულიწმინდა ჩვენთან იქნება. განიხილეთ მათთან, ვისაც ასწავლით, რომ როცა სულიწმინდა ჩვენთან არის ჩვენ სიმშვიდე გვაქვს. თქვენ ასევე შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები ან გამოცდილება იმის შესახებ, როგორ დაგეხმარათ სულიწმინდა განსაცდელის ჟამს, გეგრძნოთ სიმშვიდე. შეიძლება შეაგულიანოთ ისინი, ვისთანაც სტუმრობთ, გაიაზრონ ეს გზავნილი ამ კვირაში ზიარების დროს.

ახალგაზრდები

როგორ უნდა გაიხსენოთ მხსნელი ამ კვირაში?

პრეზიდენტი აირინგი გვირჩევს: „გააკეთეთ არჩევანი გახსოვდეთ უფალი ისეთი ხერხით, რომელიც საუკეთესოდ მიმართავს თქვენს გულს მისკენ“.

როგორ უნდა „გახსოვდეთ იგი ყოველთვის ამ კვირის განმავლობაში“ (იხ. მოძღვრება და აღთქმები 20:77, 79)?

გაქვთ საყვარელი ამონარიდი წმინდა წერილიდან მხსნელის შესახებ? თქვენ შეგიძლიათ მონიშნოთ სხვადასხვა ამონარიდი ყოველ დღე და გაუზიაროთ იგი ვინმეს.

როცა უხასიათოდ ხართ, თქვენთვის მღერიხართ ჰიმნს ან რაიმე სულისასამაღლებელ სიმღერას? იქნებ ამ კვირაში შეგერჩიათ ერთ-ერთი, რომელიც განსაკუთრებით მხსნელს ეხება?

ფიქრობთ მხსნელის ცხოვრებაზე და მის გამოსყიდვაზე ზიარების დროს ყოველ კვირას? შეგიძლიათ მოემზადოთ ზიარებისთვის, გაიხსენოთ რა თქვენი არჩევანი კვირის განმავლობაში - ყოველთვის გახსოვდეთ მხსნელი და მოინანიოთ ის წუთები, როცა ეს გიჭირდათ?

ლოცულობთ იმისთვის, რომ მოგეცეთ საშუალება ყოველ დღე გაუზიაროთ სხვებს სახარება? ეცადეთ, ამ კვირაში ჩაატაროთ სახარების გაკვეთილი, სადაც მხსნელი ცენტრალური ფიგურა იქნება. შეგიძლიათ დაამოწმოთ მხსნელის შესახებ ოჯახური საღამოს დროს ან ესაუბროთ მეგობარს სკოლაში იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც ეკლესიაში მიიღეთ.

დასახეთ მიზნად, გაიხსენოთ ამ კვირაში მხსნელი რაიმე განსაკუთრებული ხერხის გამოყენებით. უთხარით მშობელს, დედმამიშვილს, ხელმძღვანელს ან მეგობარს თქვენი მიზნის შესახებ. კვირის ბოლოს უთხარით მათ, რა მოხდა. თქვენ ორივენი იგრძნობთ იმ სიმშვიდესა და ბედნიერებას, რომელზეც საუბრობდა პრეზიდენტი აირინგი.

ბავშვები

მოდით ქრისტესთან

მხსნელი დაგვპირდა სიმშვიდეს, როცა მასთან მივალთ (მათე 11:28). ეს ნიშნავს მივყვებოდეთ მის მაგალითს და ვცდილობდეთ მასთან ახლოს ყოფნას.

- მოწიწებით იყავით ზიარების დროს.
- აირჩიეთ იყოთ კეთილი და არ განიკითხოთ სხვები.
- წაიკითხეთ მხსნელის შესახებ წმინდა წერილში.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, December 2016.* Georgian. 12872 131

ოჯახური სიხარული მოიპოვება პატიოსნებაში

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ გაზრდის "მოწოდება მსოფლიოს" წვდომა თქვენს რწმენას ღმერთში და დალოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ღმერთმა „დააწესა ოჯახები, რათა გვქონდეს ბედნიერება, სიყვარულის გარემოში ვისწავლოთ სწორი პრინციპები და მოვემზადოთ მარადიული ცხოვრებისთვის".[1] თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტმა, რასელ მ. ნელსონმა, ასე მოიხსენია „ბედნიერების დიადი გეგმა" (ალმა 42:8): „მისი გეგმის თანახმად მამაკაცები და ქალები იმისთვის არიან შექმნილნი, რომ 'სიხარული ჰქონდეთ'[2 ნეფი 2:25]. ეს სიხარული მოდის, როცა ჩვენ ვაკეთებთ არჩევანს ვიცხოვროთ ჰარმონიაში ღვთის მარადიულ გეგმასთან".[2]

ქრისტეზე დაფუძნებული ოჯახი წარმატების უდიდესი წყაროა. უხუცესი რიჩარდ ჯ. სკოტი (1928-2015) თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან აღწერს მას როგორც ადგილს, სადაც „ასწავლიან სახარებას, ინახავენ აღთქმას და სადაც სიყვარული სუფევს", სადაც ოჯახებს შეუძლიათ იცხოვრონ „მორჩილი ცხოვრებით" და გაუშვან „ძლიერი ფესვები იესო ქრისტეს სახარებაში".[3]

პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგი, პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი: „ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა ზეციური ძალები [ჩვენს] ოჯახებში გადმოვიდეს. და ჩვენ უნდა შევიტანოთ ოჯახებში სიყვარული, მსახურება, მორჩილება და ბედნიერება იმით, რომ [ჩვენს] შვილებს ესმოდეთ ღვთის სიტყვა და შემდგომ გამოიყენონ იგი რწმენაში. თუ ასე იქნება, მათი ბუნება შეიცვლება ისე, რომ მიიღონ ის ბედნიერება, რომელსაც ეძიებენ".[4]

ქრისტეზე დაფუძნებული ოჯახები

ჩვენ წმინდა წერილში გვაქვს ქრისტეზე დაფუძნებული ოჯახების მაგალითები. ნეფიმ, თავისი მამის, ლეჰის, გარდაცვალების შემდეგ, წაიყვანა ოჯახი და სხვები, ვისაც სწამდა ღვთის გაფრთხილებებისა და გამოცხადებების და რომლებიც უჯერებდნენ ნეფის სიტყვებს, ლამანიელების მიწიდან. ამ ახალ ადგილას ნეფიელებს შეეძლოთ, ყველაფერში შეენარჩუნებინათ უფლის განსჯა, კანონები და მცნებები მოსეს კანონის მიხედვით (იხ. 2 ნეფი 5:6-10). და მაინც, ნეფიელებს შორისაც კი, ზოგიერთი ბოლოს ურჩად იქცა.

და მაშინ, როცა ჩვენი ოჯახის წევრები ზოგჯერ, ნეფიელების მსგავსად, პატიოსნებისგან გადაუხვევენ, უხუცესი სკოტის თქმით, ქრისტეზე დაფუძნებული ოჯახი მაინც „სიმშვიდისა და თავშესაფრის საუკეთესო წყარო ხდება". მან აღიარა, რომ „იქნება მრავალი სირთულე და გულგატეხილობა, მაგრამ ამ აურზაურში ჩვენ შეგვიძლია დავტკბეთ შინაგანი სიმშვიდით და დიდი ბედნიერებით".[5m]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

3 იოანე 1:4; 1 ნეფი 8:12; 2 ნეფი 5:27

შენიშვნები

1. (*სახელმძღვანელო 2: ეკლესიის მართვა* (2010), 1.1.4.
2. რასელ მ.ნელსონი,"ცელესტიალური ქორწინება," *Liahona,* ნოემბერი 2008, გვ. 92
3. Richard G. Scott, "For Peace at Home," *Liahona,* May 2013, 30, 31.
4. Henry B. Eyring, "The Teachings of 'The Family: A Proclamation to the World,'" *New Era,* Sept. 2015, 5, 6.
5. რიჩარდ ჯ. სკოტი, „ოჯახში სიმშვიდისათვის", 31

განიხილეთ შემდეგი

რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ ოჯახებში უფრო პატიოსნურად ვიცხოვროთ?

© 2016 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, December 2016.* Georgian. 12872 131